განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიზნეს ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
14.06. 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
23.07.2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Doctor of Business Administration) |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ავტორიზებული, პროგრამა აკრედიტებულია 01/02/2012, #15 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ღაღანიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ზარნაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივესიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა ქუჟუნაძე, სსიპ -სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო** პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებაზე და ცდილობს უზრუნველყოს უცხო ქვეყნებიდან დოქტორანტების მოზიდვა. პროგრამის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 180 კრედიტი, რომელიც მოიცავს სასწავლო კომპონენტს 60 კრედიტის და კვლევით კომპონენტს (დისერტაცია) 120 კრედიტის მოცულობით.

სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტი მოიცავს:

- უმაღლესი განათლების პედაგოგიკა - 10 კრედიტი;
- მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი - 10 კრედიტი;
- კვლევის მეთოდოლოგია - 10 კრედიტი;

- გამოყენებითი ეკონომეტრიკა - 5 კრედიტი;
- პროფესორის ასისტირება / თავისუფალი კრედიტები - 5 კრედიტი;
- სადოქტორო სემინარი (მენეჯმენტი/მარკეტინგი/ფინანსები) - 10 კრედიტი;
- კონცენტრაციის (მენეჯმენტი/მარკეტინგი/ფინანსები) სავალდებული სასწავლო კურსი - 10 კრედიტი.

2010 წლიდან 2017 წლამდე პროგრამაზე ჩაირიცხა 75 ადამიანი, პროგრამა დაასრულა 12 დოქტორანტმა. 2017 წელს ჩაირიცხა 10, ხოლო დაასრულა 2-მა. ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცულია 9 დისერტაცია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 14 ივნისს. ვიზიტამდე, 12 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მომენტში, ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
  14 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10.00 სთ-ზე დაიწყო ვიზიტი. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეტანხმებული გრაფიკის მიხედვით. მოხდა შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან,საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირებაში სტანდარტებთან ძირითადად შესაბამისობაშია. უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება შესაბამისობა, თუმცა არსებობს მეტწილად შესაბამისობის შემთხვევები. პროგრამის ძლიერ მხარეებს უნდა მივაკუთვნოთ: პროგრამის რეალური ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება უნივერსიტეტთან. ასევე უნდა აღინიშნოს ვიზიტის დროს წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რომლებიც ცხადყოფს ადმინისტრაციის მუდმივ ზრუნვას ქონდეთ ფინანსურად მდგრადი პროგრამა. შედარებით სუსტი მხარეა აფილირებული პერსონალის სიმცირე, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის აშკარად კონკურენტული და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია.

- რეკომენდაციები

მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო დისციპლინების კრედიტების გაანგარიშება, ძირითადად 10 კრედიტიანი საგნების კრედიტების შემცირება და მის ხარჯზე არჩევითი დისციპლინების რაოდენობის გაზრდა.

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით კი პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში.

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შედგენილი პროგრამის გარე შეფასების უფრო ქმედითი მექანიზმები. ამ მიზნით პირველ ყოვლისა ზუსტად უნდა განისაზღვროს თუ ვინაა პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

დოქტორანტებს მოეთხოვებათ სტატიების გამოქვეყნება იმ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია სამეცნიერო ბაზებში. მიზანშეწონილია ამ ბაზების ჩამონათვალის შემცირება და ყველაზე ავტორიტეტულის დატოვება, როგორებიცაა: Scopus, EBSCO, Jstore.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარადგინა ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin. პროგრამა არის თანამედროვე, აქტუალური და უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების შედეგების მიღწევას, რაც გამორიცხავს პლაგიატს. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის მუშაობის დემონსტრირება. მის შესახებ ინფორმირებულები არიან აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები წინა აკრედიტაციის პერიოდის შემდგომ, კერძოდ დაემატა რამოდენიმე სასწავლო კურსი, რომლებიც იყო პარტნიორ კრაკოვის უნივერსიტეტში. ცვლილებები შევიდა არჩევით ბლოკში, განახლდა გარკვეულწილად ძირითადი ლიტერატურა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შავი ზღვის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ხელს შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევით ურთიერთობებს საერთაშორისო დონეზე.პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი ბიზნეს სკოლების, კერძო და საჯარო საფინანსო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.<br><br>პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს.<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს სიღრმისეული საკვლევი პროფილის შექმნასა და სპეციალიზებული ცოდნის ამაღლებას მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების სფეროებში. პროგრამის მიზანია სტუდენტების კარიერული პერსპექტივების გაზრდა  სიღრმისეული საკვლევი პროფილის შექმნისა და სპეციალიზებული ცოდნის ამაღლების საშუალებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• უნივერსიტეტის მისიით;<br>• ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით, სილაბუსებით.<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>მეტწილად შესაბამისაბაშია<br><br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია<br><br>არაა შესაბამისობაში |

| 1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსების ყოველკვირეული შინაარსი წარმოდგენილია შავი ზღვის უნივერსიტეტის სილაბუსებში. ყველა სილაბუსი განიხილავს მოცემული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდებს, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს და აქტივობებს. მათ შორისაა წიგნზე მუშაობა, დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. სილაბუსიდან და პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ლექცია ინტერაქტიულ ხასიათს ატარებს და სტუდენტთა ჩართვას უზრუნველყოფს, პრაქტიკული სწავლება და სემინარები ითვალისწინებენ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ეყრდნობა მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს და დაზუსტებულია კონკრეტული კურსის შინაარსიდან გამომდინარე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით, სილაბუსებით. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია

ნაწილობრივ შესაბამისობაშია

არაა შესაბამისობაში

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს დოქტორანტურის (III) საფეხურის აღმწერის დონით და საშუალებას იძლევა, სტუდენტმა შეიძინოს ყველა ის კომპეტენცია, უნარ-ჩვევები და ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობს მისი კონკურენტუნარიან პროფესიონალად და მეცნიერად ჩამოყალიბებას.

პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა, კვალიფიკაცია, მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან.

დაცული დისერტაციების ავტორეფერატების ანალიზი ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, საკვლევი თემატიკა აქტუალურია, ხოლო მიღებული კვლევის შედეგები საინტერესოა და პრაქტიკული ღირებულების მქონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით, სილაბუსებით;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო დისციპლინების საკრედიტო გაანგარიშება, ძირითადად 10 კრედიტიანი საგნების კრედიტების შემცირება და არჩევითი დისციპლინების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. 10 კრედიტიანი კურსების შემთხვევაში გაუგებარია თუ რატომ არის საჭირო 10 კრედიტი, ვინაიდან სასწავლო კურსის მომზადებისას არაა დასაბუთებული აუცილებელი დრო.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს კანონმდებლობით გათვალიწინებულ კომპონენტებს (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები). თეორიული ცოდნა და მისი ღრმად გააზრება უზრუნველყოფს მეცნიერულად დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც აუცილებელია თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. პრაქტიკული უნარ-ჩვევები უზრუნველყოფენ დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უნარს. კომუნიკაციის უნარი, რომელიც ვითარდება პრეზენტაციების განხორციელებისას და სემინარებში მონაწილეობით, საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებსგანახორციელონ პროფესიული კომუნიკაცია კოლეგებთან სხვადასხვა ქვეყნიდან. სემინარებისა და პრეზენტაციებისთვის, პროექტებისთვის მასალების დამოუკიდებელი მოძებნა განუვითარებს დოქტორანტსუწყვეტი განათლებისათვის აუცილებელ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.
ყველაფერი ეს უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას, როგორც საერთაშორისო მასშტაბით სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების ბაზარზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით, სილაბუსებით.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამისთვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო მასში ჩართულმა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა.<br>ფაკულტეტი თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან (იხ. აღნიშნული თანამშრომლობის დამადასტურებელი თანდართული დოკუმენტაცია (თანამშრომლობის მემორანდუმები, პოტენციურ დამსაქმებელთა სია).თანამშრომლობა გულისხმობს დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით. განიხილება ყველა კომენტარი და რეკომენდაცია, რომელიც ეხება როგორც სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და კურსების შინაარსს, ასევე სწავლების მეთოდიკას. აღნიშნულ დაწესებულებებთან ურთიერთობა რეგულირდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.<br>პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო ასევე ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სადოქტოროპროგრამების კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა. განიხილებოდა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და კომენტარები, მათი გაზიარების შესაძლებლობები და შედეგები. ზოგიერთი ცვლილება განხორციელდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების არგუმენტირებული მოთხოვნით.<br>დამსაქმებლებთან ინტერვიუს არ ესწრებოდნენ დამსაქმებლები, რაც ართულებს დასკვნების გაკეთებას ამ მიმართულებით. |

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასებისანგარიში;<br>○ ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიური პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით კი პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:<br>სადოქტორო პროგრამაზე სწავლა შეუძლია არანაკლებ მაგისტრსანმასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ამასთან, პირს მოპოვებული უნდა ჰქონდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ან მენეჯმენტში. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული მისაღები გამოცდების საფუძველზე - ა) საკვლევი თემი პროექტის შეფასება და გასაუბრება და ბ) გამოცდა ინგლისურ ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტი თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდიდან :<br>ა) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში,<br>ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით" დადგენილი წესით;<br>გ) იმ ქვეყნის მოქალაქე სადაც სახელმწიფო ენა არის ინგლისური ენა.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია საქართველოშ მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>○ „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება";<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორისმიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია / დებატები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობა. ლექცია ინტერაქტიულ ხასიათს ატარებს.
აღნიშნული მეთოდები ძირითადად შესაბამისობაშია სწავლების მე-3 დონისათვის, ისინი შესაძლებლობას აძლევენ დოქტორანტებს წარმატებით იმუშაონ საკვლევ თემაზე და დაასრულონ მუშაობა სადოქტორო დისერტაციის წარდგენითა და დაცვით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

*რეკომენდაციები:*

*რჩევები პროგრამის განვითარებისთვის*

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის კომპონენტების გავლის თანამიმდევრობა აღწერილია სასწავლო გეგმაში. იგი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>,,მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზი" და ,,კვლევის მეთოდოლოგია" არის წინაპირობა ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევისათვის. იგი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში არის სამი კონცენტრაცია მენეჯმენტი/მარკეტინგი/ფინანსები. შესაბამისი კონცენტრაციის შერჩევისას დოქტორანტი გადის შესაბამის სავალდებულო საგანს.<br>დაშვების წინაპირობა აქვს ასევე კვლევით კომპონენტს - დისერტაციას - პროგრამით გათვლისწინებული სასწავლო კომპონენტის წარმატებით შესრულება.<br>დოქტორნატმა ასევე უნდა წარმოადგინოს სემინარი და გასწიოს პროფესორის ასისტირება.<br>დისერტაცია წარმოადგენს კვლევით კომპონენტს 120 კრედიტის მოცულობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.<br><br>შეფასებისმიზანიახარისხობრივადგანსაზღვროსსტუდენტისსწავლისშედეგები აკადემიურიპროგრამისმიზნებთანდაპარამეტრებთანმიმართებაში.<br><br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალურიშეფასება100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br><br>შეფასების სისტემა უშვებს:<br><br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br><br>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;<br><br>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;<br><br>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;<br><br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;<br><br>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.<br><br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br><br>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br><br>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ |

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.
შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.
კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვისგანსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

**კვლევითი კომპონენტის შეფასება:**

დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, მაქსიმუმ 100 ქულით. დაცვა ფასდება კომისიის მიერ დახურულს ხდომაზე. დისერტაციისა და მისი შეფასებების საფუძველზე (გამოითვლება საშუალო არითმეტიკული) კომისია გადაწყვეტს საბოლოო შეფასებას.

შეფასებაორისახისაა: დაიცვა (51-100 ქულა) ან ვერ დაიცვა (0-50 ქულა).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების / კომპონენტის / პრაქტიკის სილაბუსებში. სტუდენტი დროულად არის ინფორმირებული მიღებული შედეგებისა და ნაკლოვანებების შესახებ უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის მეშვეობით და უშუალოდ საგნის ლექტორის მიერ. ამ გარემოებას აღნიშნავდნენ თვითონ დოქტორანტები.

სასწავლო კურსების ყველა სილაბუსი მოიცავს ცოდნის შეფასების დეტალურ რუბრიკებს: კრიტერიუმების სიას მათი მიღწევის დონეების განსაზღვრით. დისერტაციის დაცვა საჯაროა, ხოლო დისერტანტის შეფასება გამჭვირვალე კრიტერიუმებით ხდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა მონაცემთა ბაზა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული Smart-ის პროგრამული უზრუნველყოფა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

